FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სურსათის უვნებლობის სექტორს ENPARD IV ფარგლებში

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

GCP/GEO/022/EC

<u>საგრანტო სახელმძღვანელო</u>

ივლისი 2023

მხარდაჭერის პაკეტები

დაფინანსებული ევროკავშირისა და განხორციელებული გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ

Food and Agriculture Organization of the United Nations
CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION
შვედეთი Sverige
Funded by the European Union

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციის შინაარსი არის FAO-ს პასუხისმგებლობა და არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებს.

ამ გამოცემაში გამოყენებული მასალა არ გამოხატავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის, ქალაქის ან მისი ხელისუფლების ლეგალური ან განვითარების სტატუსის შესახებ, ან მისი საზღვრების დელიმიტაციის შესახებ. ამ დოკუმენტში კომპანიების ან მწარმოებლების პროდუქტების ხსენება, მიუხედავათ იმისა დაპატენტებულია თუ არა ის, არ გულისხმობს, რომ ისინი რეკომენდირებულია FAO-ს მიერ, ან რომ მათ FAO უპირატესობას ანიჭებს სხვა მსგავსი შინაარსის მქონე, ნაწარმთან ან კომპანიებთან შედარებით, რომლებიც არ არიან ნახსენები ამ დოკუმენტში.

სარჩევი

გამოყენებული ტერმინების განმარტება: 4

1. შესავალი 5

2. საგრანტო კომპონენტის აღწერა, დასაშვები კრიტერიუმები, დასაშვები ინვესტიციები 6

2.1. საგრანტო კომპონენტის აღწერა: 6

2.2. განმცხადებლების შერჩევის კრიტერიუმები: 6

2.3. დასაშვები ინვესტიციები: 8

2.4. ზოგადი პრინციპები და საინვესტიციო მხარდაჭერის ზღვარი: 9

3. განაცხადის მიღების პროცესი 10

I ფაზა: პირდაპირი მოწვევა 10

II ფაზა: (შერჩევითი) ტრენინგები 10

III ფაზა: დაინტერესების გამოხატვა და განაცხადის შექმნა საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმაზე 11

IV ფაზა: პროგრამასთან შესაბამისობის გადახედვა და პროფილის შექმნა ZOHO-ზე 13

V ფაზა: (მხოლოდ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისთვის) სურსათის უვნებლობის აუდიტი 14

VI ფაზა: (შერჩევითი) ტრენინგები 14

VII ფაზა: (შერჩევითი) წინასწარ შერჩეული აღჭურვილობების არ არსებობის შემთვევაში, ბიუჯეტის განსაზღვრა და ზედნადების მიღება 15

IX ფაზა: შემოთავაზებული თანამონაწილეობრივი გრანტის ტექნიკური შეფასება 16

X ფაზა: თანამონაწილეობრივი გრანტის შერჩევა და დაჯილდოვების გადაწყვეტილება 16

XI ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების შემუშავება და ხელმოწერა 18

XII ფაზა: გრანტის გადახდა 19

XIII ფაზა: (შერჩევითი) ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის შეფასების ვიზიტები 20

XIV ფაზა: მონიტორინგის აქტივობები 20

დანართი 1: შეფასების კრიტერიუმები 1-ლი მხარდაჭერის პაკეტისთვის: „ENPARD-ის არსებული ბენეფიციარების მხარდაჭერა (სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები)“ 22

დანართი 2: 1-ლი მხარდაჭერის პაკეტის განმარტებითი დოკუმენტი: „ENPARD-ის არსებული ბენეფიციარების მხარდაჭერა (სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები)“ 23

დანართი 3: შეფასების კრიტერიუმები მე-3 მხარდაჭერის პაკეტისთვის: “საქართველოს მტკნარი წყლის თევზის ფერმერების მოშენებისა და სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გასაუმჯობესებელი მხარდაჭერის პაკეტი” 27

დანართი 4: მე-3 მხარდაჭერის პაკეტის განმარტებითი დოკუმენტი: “საქართველოს მტკნარი წყლის თევზის ფერმერების მოშენებისა და სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გასაუმჯობესებელი მხარდაჭერის პაკეტი” 28

დანართი 5: მე-5 მხარდაჭერის პაკეტის განმარტებითი დოკუმენტი: “ „მხარდაჭერის პაკეტი რძისა და ყველის მცირე მწარმოებელი ქალებისთვის ” 31

გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- თანამონაწილეობრივი გრანტი: FAO-ს მიერ გაწეული საინვესტიციო მხარდაჭერა, ტექნიკა-დანადგარების შესაძენად.
- თანამონაწილეობრივი კონტრიბუცია: ტექნიკის შესაძენად, გრანტის მიმღების კონტრიბუცია.
- საგრანტო განაცხადი: FAO-ს მიერ თანამონაწილეობრივი გრანტის მისაღებად შევსებული განაცხადი, რომელიც საგრანტო განაცხადის ფორმასა და ყველა შესაბამის დოკუმენტაციას.
- საგრანტო ხელშეკრულება: FAO-სა და გრანტის მიმღებს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც ასახავს საინვესტიციო მხარდაჭერას, გრანტის მიმღების ვალდებულებებსა და ხელშეკრულების ზოგად დებულებებს.
- პროგრამის პლატფორმა: ელექტრონული პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს მთავარ დამაკავშირებელ რგოლს განმცხადებელსა და FAO-ს შორის. ყველა საგრანტო განაცხადი აიტვირთება პლატფორმაზე.
- პერსონალური ფაილი: დაცული ინდივიდუალური ფაილი პროგრამის პლატფორმაზე, სადაც განმცხადებელს შეუძლია ატვირთოს თავისი საგრანტო განაცხადი.
- ტექნიკური შეფასება: FAO–ს ან მისი განმახორციელებელი პარტნიორის მიერ საგრანტო განაცხადების ტექნიკური მიმოხილვა, რომელიც აანალიზებს შემოთავაზებული საინვესტიციო მხარდაჭერის ზოგად ხედვას და კრიტერიუმებთან შესაბამისობას.
- სავერიფიკაციო საკონტროლო ვიზიტი: FAO-ს ან განმახორციელებელი პარტნიორის მიერ განმცხადებლის საკუთრების საველე დათვალიერება, საგრანტო განაცხადში მოცემული ძირითადი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით.

- <u>ინვესტიციის განხორციელების გეგმა:</u> დეტალური ვადები, რომელიც ასახავს სხვადასხვა აქტივობებსა და ნაბიჯებს, საინვესტიციო მხარდაჭერის განსახორციელებლად.

1. შესავალი

აღნიშნული საგრანტო სახელმძღვანელო აღწერს იმ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ პროცედურებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მხარდამჭერი პაკეტებისთვის, პროგრამა - საქართველოს სურსათის უვნებლობისა და სანიტარიული/ფიტოსანიტარიული სექტორის მხარდაჭერა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეოთხე ფაზის ფარგლებში.

საქართველოს სურსათის უვნებლობისა და სანიტარიული/ფიტოსანიტარიული სექტორის მხარდაჭერა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეოთხე ფაზის ფარგლებში, მიზნად ისახავს მწარმოებლებისა და სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების მხარდაჭერას, ტრენინგების, ან მხარდეჭერის პაკეტების გზით, რაც გულისხმობს სანიტარიული და ფიტოსანიტარული/სურსათის უვნებლობის რეგულაციებისა და მოთხოვნების დანერგვას. მოცემული მხარდაჭერის პაკეტი, თავდაპირველად, ითვალისწინებს ბენეფიციარებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას, ხოლო შემდეგ ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმს, მომწოდებლის მიერ მიწოდებული თანამონაწილეობრივი გრანტის ხარჯზე, რომელიც გამოიყენება იმ აღჭურვილობის შესაძენად, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესაბამისი სანიტარიული და ფიტოსანიტარული/სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვასთან. იმისათვის რომ ბენეფიციარმა მიიღოს თანამონაწილეობრივი გრანტი, მან უნდა გაიაროს FAO-ს მიერ განსაზღვრული ტრენინგები და წარმატებით გაიაროს პოსტ ტესტი. მოცემული ტესტი მიზნად ისახავს შეაფასოს ტრენინგის ეფექტურობა და დაადგინოს მიღწეულია თუ არა სასურველი სწავლის შედეგები.

პროექტი მიზნად ისახავს დაძლიოს სპეფიციკურ სანიტარიული და ფიტოსანიტარული /სურსათის უვნებლობის რისკები, რომლებიც გამოვლინდა პროექტის საწყის ფაზაში, ან უპასუხოს პროექტის განხორციელების მანძილზე გამოვლენილ საჭიროებებს. მოცემული მხარდაჭერის პაკეტები შეჯამებულია განმარტებით დოკუმენტებში, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის რისკებს, სამიზნე პოპულაციებს და შესაბამის მხარდაჭერას. მოცემული მხარდაჭერის პაკეტები აუცილებლად მოიცავს ტრენინგების სესიას, და თანამონაწილეობრივი გრანტის კომპონენტს, რომელიც ექვემდებარება მოცემულ საგრანტო სახელმძღვანელოს.

ბენეფიციარები შესაძლოა იყვნენ პირველადი მწარმოებლები და/ან სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები. ორივე ტიპის ბენეფიციარისთვის, შესაბამისი გრანტი გაიცემა მომწოდებლის მიერ მიწოდებული ჯილდოების მეშვეობით. მოცემული ჯილდო გულისხმობს ჯილდოს გაცემას FAO-სგან ბენეფიციარზე, წინასწარ განსაზღვრული მომწოდებლის მეშვეობით, რომლის გამოყენებაც რეგულირდება ბენეფიციარის საგრანტო ხელშეკრულებით. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ბენეფიციარები შესაბამის გადარიცხავს ახორციელებენ მიმწოდებელთან, რომელიც გასცემს საქონელს/აქტივს. FAO ადასტურებს გაცემას და შემდეგ უხდის მიმწოდებელს დანარჩენ ღირებულების.

შერჩევის პროცესში გათვალისწინებული ყველა გადახედვა და საველე ვიზიტი განხორციელდება FAO-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ზოგიერთ შემთხვევაში სერვისის მომწოდებლთან პარტნიორობით სურსათის უვნებლობის აუდიტის უზრუნველსაყოფად. მომსახურების მომწოდებლების შერჩევა მოხდება FAO-ს მიერ პროგრამის დასაწყისში გამჭვირვალე ტენდერის გზით.

მოსალოდნელია, რომ პროექტის აქტივობები დადებითად აისახება ქართული პროდუქციის სურსათის უვნებლობის მდგომარეობაზე. პროექტი ფინანსდება ENPARD-ის მეოთხე ფაზის ფარგლებში და ეფუძნება FAO-ს და სხვა პარტნიორების მიერ ENPARD I, ENPARD II და ENPARD III ფაზების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შედეგებს.

2. საგრანტო კომპონენტის აღწერა, დასაშვები კრიტერიუმები, დასაშვები ინვესტიციები

2.1. საგრანტო კომპონენტის აღწერა:

FAO-ს მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში ითვალისწინებს თანამონაწილეობრივი გრანტების გაცემას სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისა და პირველადი მწარმოებლების მიზნობრივი შერჩეული პოპულაციისთვის, პროექტის მმართველი კომიტეტის მიერ აღიარებული მხარდაჭერის პაკეტების გზით.

ENPARD IV-ის პროექტი ფარავს სრულიად საქართველოს, კონკრეტული გამოწვევების გადასაჭრელად შესაძლოა დადგინდეს გეოგრაფიული შეზღუდვები სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების ან პირველადი მწარმოებლების წინასწარ იდენტიფიცირებული პოპულაციის მხარდასაჭერად.

2.2. განმცხადებლების შერჩევის კრიტერიუმები:

თანამონაწილეობრივი გრანტის გაცემა დაეფუძნება დასაშვები კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა განმცხადებელი. წესისამებრ, თითოეული მხარდაჭერის პაკეტის შერჩევის კრიტერიუმები ხელს შეუწყობს პოტენციური

ბენეფიციარების მიზნობრივი პოპულაციის განსაზღვრას, რომელიც შემდეგ პირდაპირ იქნება პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ზოგიერთი კრიტერიუმი დაემატოს თითოეული ინდივიდუალური მხარდაჭერის პაკეტს, ყველა განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- ყველა მომავალ გრანტიორს მოეთხოვება იურიდიული რეგისტრაცია ან ინდივიდუალურ მეწარმედ, ან მცირე და საშუალო ბიზნესად, ან კოოპერატივად, ან მათ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა იურიდიული სტატუსის სახით. გარდა ამისა, სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებს მოეთხოვებათ სურსათის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი.
- პროგრამაში მონაწილე პირველადი მწარმოებლები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. ყველა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაცია, როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი განაცხადის ფორმაში.
- პროგრამაში მონაწილე იურიდიული პირებისთვის, კომპანიის უმეტესი წილის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე (50%-ზე მეტი).
- განმცხადებლები არ უნდა იყვნენ გაკოტრებული, ლიკვიდირებული და სასამართლოსთან დავაში მყოფნი.
- განმცხადებლებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის დავა შემოსავლების სამსახურთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ან სხვა შესაბამის ორგანოსთან.
- განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ კაპიტალის ან/და სხვა აქტივების გამოყენების მტკიცებულება (ფიზიკური, იურიდიული), რომელიც გამოიყენება თავიანთ საინვესტიციო გეგმებში, მაგ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა, მანქანა, შრომა, უნარი და ა.შ. ყველა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებული მიწა, უნდა იყოს საკუთრებაში ან იჯარით აღებული განაცხადის წარდგენის თარიღამდე მინიმუმ 3 თვით ადრე.
- განმცხადებლები უნდა დაესწრონ FAO-ს მიერ მოთხოვნილ ყველა ტრენინგს სურსათის უვნებლობის მიმართულებით და წარმატებით გაიარონ პოსტ ტესტი. მოცემული შეფასება უზრუნველყოფს ტრენინგის მონაწილეთა შესაძლებლობებისა და ცოდნის პოზიტიურ ცვლილებას.
- სურსათის მწარმოებელმა ბიზნესოპერატორებმა შესაძლოა გაიარონ სურსათის უვნებლობის აუდიტი, რომელსაც უზრუნველყოფს FAO ან სერვისის მიმწოდებელი. მოცემულ შემთხვევაში, შეფასების ანგარიში უნდა მიეწოდოს FAO-ს.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი ეთიკური და ბიზნესის სტანდარტების დაცვა, მათ შორის უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალობა

საქმიან ურთიერთობებში, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა, საქმიანობის აღრიცხვა წარმოების ნებისმიერი ფაქტობრივი გამოვლენით.

- განმცხადებლებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაეროს მიერ აკრძალულ საქმიანობაში; სხვა დახმარების პროგრამებში არ უნდა ქონდეთ დარღვევები (ვალდებულების არ შესრულება); ან არ უნდა იყვნენ FAO-ს პერსონალის პირდაპირი ნათესავი (მეუღლე, შვილი, მშობელი ან ძმა/და) ან FAO-ს თუ FAO-ს განმახორციელებელ ორგანიზაციის თანამშრომლებთან ბიზნესით დაკავშურებული პირი.
- განმცხადებელმა უნდა მიმართოს ყველა გონივრულ ზომას, რათა თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტი და დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს FAO-ს ისეთი სიტუაციის შექმნის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი. რაც შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ინდივიდუალური პირსა თუ ობიექტს, რომელიც მონაწილეობს საგრანტო პროცესში. იქნება ეს განცხადება, ტექნიკური გადახედვა, შერჩევა, მონიტორინგი, გადახდა თუ სხვა კომპონენტი, ან FAO-ს დაქირავებული პარტნიორის ნებისმიერი პერსონალი, რომელსაც აქვს რაიმე სახის ინტერესი განმცხადებლის საქმიანობაში.
- ნებისმიერი სახის თაღლითური ქმედება გამოიწვევს FAO-ს მიერ პროექტის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

2.3. დასაშვები ინვესტიციები:

პროგრამა განხორციელდება მომწოდებლის მიერ მიწოდებული ჯილდოების მეშვეობით. პროექტი უზრუნველყოფს იმ აღჭურვილობების შეძენას, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირები შესაბამისი სანიტარიული და ფიტოსანიტარული/სურსათის უვნებლობის სტანდარტების და/ან სერთიფიცირების დანერგვის ხარჯებთან. ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული თანამონაწილეობრივი გრანტის შესაბამისი პროცენტები შესაძლოა განსხვავდებოდეს მხარდაჭერის სხვადასხვა პაკეტს შორის, თუმცა, ზოგიერთი ზოგადი პრინციპი მიესადაგება ყველა მხარდაჭერის პაკეტს:

- სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისთვის შეთავაზებული მხარდაჭერის პაკეტების შემთხვევაში, ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული საგრანტო შესაძლებლობები დაეყრდნობა სურსათის უვნებლობის აუდიტის ანგარიშში გამოვლენილ რეკომენდაციებსა და საჭიროებებს, რასაც თან მოჰყვება წარმატებული ტექნიკური შეფასება, FAO-ს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს მისთვის სასურველი მიმწოდებელი, ინვესტიცია შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ძირითად აქტივებს.
- საბოლოო ბიუჯეტი დამტკიცებული იქნება FAO-ს მიერ და ის შესაძლოა მოიცავდეს როგორც სურსათის უვნებლობის აღჭურვილობასა თუ სერტიფიცირების ხარჯებს, ისე დამატებით აქსესუარებს, რომელთა თანამონაწილეობრივი გრანტის პროცენტიც

შესაძლოა განსხვავდებოდეს. სურსათის უვნებლობის აღჭურვილობა განისაზღვრება, როგორც ინსტრუმენტების, მანქანებისა და მოწყობილობების ფართო სპექტრი, რომლებიც სპეციალურად შექმნილია და გამოიყენება საკვების დაბინძურების, ავადმყოფობის და სხვა დაკავშირებული უსაფრთხოების საფრთხის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით, საკვების გადამუშავების, წარმოების ან დამუშავების პროცესებში. დამატებით აქსესუარებს წარმოადგენს ძირითადი აქტივები, რომლებიც აუცილებელია სურსათის უვნებლობის აღჭურვილობის სათანადო და ეფექტური გამოყენებისთვის. კატეგორიზაცია განხორციელდება ინდივიდუალურად თითოეული პროექტისთვის FAO-ს სურსათის უვნებლობის ექსპერტის მიერ.

- პირველადი მწარმოებლებისთვის განკუთვნილი მხარდაჭერის პაკეტების შემთხვევაში, გრანტები დაფარავს მხოლოდ წინასწარ შერჩეული მომწოდებლებისგან წინასწარ განსაზღვრული აღჭურვილობის შესყიდვას. აღჭურვილობების წინასწარ შერჩევა განხორციელდება FAO-ს მიერ, მხარდაჭერის პაკეტის გაცემამდე.

ნებისმიერი პირდაპირი ურთიერთობა განმცხადებელსა და მომწოდებლებს შორის მკაფიოდ უნდა იყოს გამჟღავნებული საგრანტო განაცხადში. მოცემული პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს განაცხადის უარყოფას.

2.4. ზოგადი პრინციპები და საინვესტიციო მხარდაჭერის ზღვარი:

ყველა შემოთავაზებული ინვესტიცია უნდა იყოს დაკავშირებული სურსათის უვნებლობასთან, უნდა შემოიფარგლებოდეს საგრანტო ხელშეკრულებაში მოცემული აღჭურვილობითა და სერტიფიცირების ხარჯებით და უნდა იყოს ტექნიკური თვალსაზრისით გამართული. პროგრამა მოითხოვს ბენეფიციარების მხრიდან მთლიანი ინვესტიციის მინიმუმ 30%-ის თანაინვესტირებას. თანამონაწილეობრივი კონტრიბუცია განსხვავებულია ყოველი მხარდაჭერის პაკეტისათვის, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ის უზრუნველყოფს, რომ ბენეფიციარები შეინარჩუნებენ პროექტის მიმართ ერთგულებასა და ფინანსურ განხორციელებას.

პროგრამა ითვალისწინებს იმ ფულად სახსრებს, რომელიც იქნება გამოყენებული საინვესტიციო გეგმებში აპლიკანტის წვლილის დასაფარად. არაფულადი კონტრიბუცია (როგორიცაა შრომა, მიწა, აღჭურვილობა და ა.შ.) ან დონორების დაფინანსება (დაფინანსების ერთიანი წესი) არ შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებლის კონტრიბუციად.

დაფინანსების ერთიანი წესის გამონაკლისს წარმოადგენს სოფლის განვითარების სააგენტოსგან მიღებული „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამა, რომელიც სუბსიდირებას უწევს დაკავშირებული სესხის საპროცენტო განაკვეთს.

თანამონაწილეობრივი გრანტი, რომელიც იქნება FAO-ს მხრიდან უზრუნველყოფილი არ უნდა იყოს 100 დოლარზე ნაკლები ან 50,000 დოლარზე მეტი. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებს შეუძლიათ მიიღონ რამდენიმე გრანტი, მიღებული ჯამური თანხა არ უნდა

აღემატებოდეს მაქსიმალურ ზღვარს - 50,000 აშშ დოლარს. ყოველი თანამონაწილეობრივი გრანტი უნდა განხორციელდეს პროგრამის დასრულებამდე მინიმუმ სამი თვით ადრე. ყველა განმცხადებელი იქნება პასუხისმგებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი გადასახადის/საფასურის გადახდაზე.

3. განაცხადის მიღების პროცესი

ნებისმიერი მხარდაჭერის პაკეტისთვის, პროცესი მიჰყვება წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯების ჩამონათვალს:

I ფაზა: პირდაპირი მოწვევა

პროგრამის ფარგლებში, პირდაპირი მოწვევის ხარჯზე, დაუკავშირდებიან და ინფორმაციას მიაწვდიან შერჩეულ პოტენციურ ბენეფიციარებს მხარდაჭერის პაკეტების შესაძლებლობების შესახებ. მოცემული მოწვევა პროექტში მონაწილეობისათვის განხორციელდება ელექტრონული ფოსტით და/ან სატელეფონო ზარის მეშვეობით და ის, ასევე, მოემსახურება ზოგადი ინფორმაციის (პასუხისმგებელი პირის სახელი, მისამართი, ბიზნეს აქტივობა, საკონტაქტო ინფორმაცია...) დადასტურებას. დაკავშირებულ პოტენციურ ბენეფიციარებს მიეცემათ კონკრეტული ვადა ინტერესის გამოხატვისთვის.

<u>შედეგი:</u> ყველა მიზნობრივი ბენეფიციარი, იქნება ეს სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი თუ პირველადი მწარმოებელი, უშუალოდ იყო ინფორმირებული იმ მხარდაჭერის პაკეტის შესახებ, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს.

II ფაზა: (შერჩევითი) ტრენინგები

მხარდაჭერის პაკეტის სპეციფიკის მიუხედავად, ყველა განმცხადებელს მოუწევს გაიაროს სპეციალური ტრენინგი, იმისათვის რომ მიიღოს თანამონაწილეობრივი გრანტი. ზოგიერთი მხარდაჭერის პაკეტის ფარგლებში, საგრანტო განაცხადის დარეგისტრირებამდე, აპლიკანტები მოწვეულნი იქნებიან ტრენინგებზე. ამ შემთხვევაში, FAO მონაწილეებს მოიწვევს ისეთ ტრენინგებზე, რომლებიც მორგებული იქნება მათ გეოგრაფიულ მდებარეობასა და ტრენინგ საჭიროებებზე, მათთვის დასაშვები მხარდაჭერის პაკეტში განსაზღვრული ტრენინგ საჭიროებებზე დაყრდნობით. სასწავლო კომპონენტი მოეწყობა სურსათის უვნებლობის სპეციფიკური თემის ირგვლივ, წინასწარ განსაზღვრულ სპეციფიკურ არეალებში. სავალდებულო ტრენინგები ჩატარდება ან უშუალოდ FAO-ს მიერ, ან FAO-ს მიერ დაქირავებული მომსახურების მომწოდებლის მიერ. სურსათის უვნებლობის ცოდნის სათანადო შეძენის უზრუნველსაყოფად, მონაწილეებს მოეთხოვებათ პოსტ ტესტის წარმატებით ჩაბარება.

<u>შედეგი:</u> განმცხადებელმა წარმატებით გაიარა სავალდებულო ტრენინგები და ჩააბარა პოსტ-ტესტი. მომზადებული ბენეფიციარები უფლებამოსილნი არიან შეავსონ საგრანტო განაცხადი პროგრამის პლატფორმაზე.

III ფაზა: დაინტერესების გამოხატვა და განაცხადის შექმნა საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმაზე

მას შემდეგ, რაც მიზნობრივი ბენეფიციარი გამოხატავს პროგრამაში მონაწილეობის ინტერესს, განმცხადებელი მოწვეული იქნება თავისი პროფილის შესაქმნელად საგრანტო პროგრამის მართვის ფლატფორმაზე.

- ყველა განმცხადებელი უნდა დარეგისტრირდეს პროგრამის პლატფორმაზე და შექმნას უნიკალური ანგარიში.
- რეგისტრაციისთვის, განმცხადებლებს მოეთხოვებათ პროფილის ინფორმაციის მითითება, მათ შორის პირადი ინფორმაციისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითება.
- რეგისტრაციის გავლის შემდეგ, განმცხადებლები მიიღებენ საიდენტიფიკაციო ნომერს, პლატფორმაზე პირად ფაილებზე წვდომისათვის.

თავიანთი პროფილის შექმნის შემდეგ, განმცხადებლებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა:

- საგრანტო განაცხადის წარსადგენად, ყველა განმცხადებელი უნდა შევიდეს პირად პროფილში, პლატფორმაზე.
- განაცხადები უნდა მომზადდეს უშუალოდ პროგრამის პლატფორმაზე და ყველა საჭირო დამხმარე დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ელექტრონულად. იმისათვის, რომ ჩაითვალოს წარდგენილად, განაცხადი უნდა შეიცავდეს ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტს.
- განმცხადებელს შესაძლოა მოეთხოვოს საგრანტო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს კითხვარს ინვესტიციის სტრატეგიისა და საჭიროების შესახებ, ინფორმაციას განმცხადებლის ბიზნესის შესახებ, ისევე როგორც, ინფორმაციას იმ აღჭურვილობის შესახებ, რომელსაც მოითხოვს.
- იმ მხარდაჭერის პაკეტებისათვის, რომლისთვისაც აღჭურვილობა წინასწარ არის შერჩეული FAO-ს მიერ, განმცხადებელს მოეთხოვება აირჩიოს ერთი ან მეტი წინასწარ შერჩეული აღჭურვილობა და მიმწოდებელი, დამხმარე პაკეტის სპეციფიკიდან გამომდინარე. არჩევანი გაკეთდება უშუალოდ საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმაზე.
- განმცხადებლებს შეუძლიათ მოითხოვონ დახმარება FAO-სგან თავიანთი განაცხადების ჩამოყალიბებაში, მობილურის თუ ელ.ფოსტის გამოყენებით.
- განმცხადებლებს მიეცემათ განსაზღვრული ვადა განაცხადების წარდგენისთვის. ვადის გასვლის შემდეგ მიღებული განაცხადი არ განიხილება.

- განმცხადებელს ერთდროულად მხოლოდ ერთი განაცხადის შევსება შეუძლია, მიუხედავად იმისა ინდივიდუალური პირის მიერ იქნება ის წარდგენილი თუ რაიმე იურიდიული ფორმის ქვეშ. თუკი, ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ ერთზე მეტი განაცხადი იქნება შევსებული, განხილული იქნება წარმოდგენილი განაცხადებიდან მხოლოდ ერთი.
- წარდგენის შემდეგ, განაცხადი მიიღებს ოფიციალურ დამადასტურებელ ცნობას, რომელშიც მითითებული იქნება განაცხადის სერიული ნომერი. დასტურის მიღება მოხდება ელექტრონულად (მაგ. დასტურის ელ.ფოსტა).
- განაცხადის გაგზავნის შემდეგ, აპლიკანტი ვერ შეძლებს განაცხადის გაუქმებასა ან შეცვლას, თუკი ამას არ მოითხოვს FAO.
- განაცხადი, რომელიც არ შეიცავს პროგრამულ პლატფორმაზე მოთხოვნილ ყველა პუნქტსა და დოკუმენტს, შესაძლოა იყოს უარყოფილი.
- კომპანიების ან კოოპერატივების განაცხადები უნდა იყოს წარდგენილი ორგანიზაციის იურიდიული წარმომადგენლის მიერ.

პლატფორმაზე განაცხადის ფორმის შევსებისას მონაწილეებს მოეთხოვებათ დამხმარე დოკუმენტები მათი პროფილების შესავსებად, კერძოდ:

- კომპანიებისთვის:

  1/კომპანიის დირექტორის/ხელმძღვანელის/კომპანიის წარმომადგენლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი

  2/კომპანიის სარეგისტრაციო ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

  3/ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო რუკებით/ამონაწერებით და სასოფლო-სამეურნეო/კომერციული მიწის საკუთრების დოკუმენტი, ან, საჭიროებისამებრ, ქირავნობის ხელშეკრულება

  4/ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების/საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ

  5/ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სურსათის ბიზნესის ოპერატორის რეგისტრაცია (თუკი განაცხადის წარდგენისას მოცემული დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი, მან ის უნდა გამოგზავნოს საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე)

- ინდივიდუალური მეწარმეებისთვის:

  1/ პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი

2/საქართველოს იუსტიციის სახლის მიერ გაცემული ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის ცნობა (თუკი განაცხადის წარდგენისას მოცემული დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი, მან ის უნდა გამოგზავნოს საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე)

3/ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო რუკებით/ამონაწერებით და სასოფლო-სამეურნეო/კომერციული მიწის საკუთრების დოკუმენტი, ან, საჭიროებისამებრ, ქირავნობის ხელშეკრულება

- კოოპერატივებისთვის:

1/ კოოპერატივის თავმჯდომარის/წარმომადგენლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი

2/ ცნობა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭების შესახებ

3/ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო რუკებით/ამონაწერებით და სასოფლო-სამეურნეო/კომერციული მიწის საკუთრების დოკუმენტი, ან, საჭიროებისამებრ, ქირავნობის ხელშეკრულება

<u>შედეგი:</u> განმცხადებელმა გამოთქვა იმ მხარდაჭერის პაკეტის შესაძლებლობაში მონაწილეობის სურვილი, რომლისთვისაც იყო მიწვეული. მისი პროფილი შექმნილია საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმაზე, განაცხადი შევსებულია, და შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაცია ატვირთულია.

IV ფაზა: პროგრამასთან შესაბამისობის გადახედვა და პროფილის შექმნა ZOHO-ზე

საგრანტო განაცხადის წარდგენის შემდეგ, FAO უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობის გადახედვას, რათა დაადასტუროს განმცხადებლის პროფილის შესაბამისობა მოცემული მხარდაჭერის პაკეტის შერჩევის კრიტერიუმებთან. პარალელურად, FAO-ს ანალიტიკოსი გადახედავს მიღებულ დოკუმენტაციას.

იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე ინფორმაცია არ არის მითითებული, განმცხადებელს დაუკავშირდება FAO და სთხოვს ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

თუკი განაცხადი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისია, ხოლო პროფილი სრულია, FAO-ს ანალიტიკოსი შექმნის ინდივიდუალური პროფილის ფორმას Zoho-ს მონიტორინგის პლატფორმაზე, რათა შესაძლებელი იყოს მხარდაჭერის პაკეტის პროცესში განხორციელებული ყველა აქტივობის შემდგომი ზუსტი მონიტორინგი. რის შემდეგაც, განაცხადის გადადის შემდეგ ეტაპზე.

<u>შედეგი:</u> განაცხადის ფორმა განხილულია FAO-ს მიერ პროექტთან შესაბამისობისა და სისრულის კუთხით. თუკი ის შესაბამისი და სრულია, FAO-ს მიერ შეიქმნა მონიტორინგის

პროფილი Zoho-ს პლატფორმაზე და განაცხადი გადავიდა შემდეგ ეტაპზე. თუ არა, განაცხადი უარყოფილია.

V ფაზა: (მხოლოდ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისთვის) სურსათის უვნებლობის აუდიტი

სურსათის მწარმოებელმა ბიზნესოპერატორმა შესაძლოა გაიაროს სურსათის უვნებლობის აუდიტი, თანამონაწილეობრივი გრანტის მიღებამდე. აუდიტის დასკვნები და, კერძოდ, აუდიტის დროს გამოვლენილი საინვესტიციო საჭიროებები, რომლებიც მოსაზრებული იქნება სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორის სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობად, წარმოქმნიან თანამონაწილეობრივი გრანტით დასაფარ ინვესტიციებს. მხარდაჭერის პაკეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუდიტს ჩაატარებს FAO ან პროგრამის მიერ დაქირავებული სერვისის მიმწოდებელი. აუდიტის ხარჯებს აანაზღაურებს FAO.

აუდიტის ანგარიში მიეწოდება FAO-ს და თან დაერთვება საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმას.

<u>შედეგი:</u> ზოგიერთი სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისთვის, განხორციელდა სურსათის უვნებლობის აუდიტი და გაიცა საინვესტიციო რეკომენდაციები და მიეწოდა FAO-ს, ანგარიში თან ერთვის საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმას.

VI ფაზა: (შერჩევითი) ტრენინგები

განხილული მხარდაჭერის პაკეტის სპეციფიკაციების მიუხედავად, ყველა განმცხადებელს მოუწევს გაიაროს განკუთვნილი ტრენინგები, რათა მიიღონ შესაბამისი გრანტი. განმცხადებლებს, რომლებიც არ იყვნენ მიწვეული ტრენინგზე საგრანტო პროცესის ადრეულ ეტაპზე, FAO მოიწვევს იმ ტრენინგებზე დასასწრებად, რომლებიც მორგებულია მათ გეოგრაფიულ მდებარეობასა და სასწავლო საჭიროებებზე, რომლებიც იდენტიფიცირდა სურსათის უვნებლობის აუდიტის დროს ან იმ მხარდაჭერის პაკეტების შესაბამისად რომლის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს განმცხადებელი. თითოეულ მონაწილეს მაქსიმუმ ორჯერ ექნება შესაძლებლობა, რომ დაესწროს სავალდებულო ტრენინგებს. შემოთავაზებულ სესიებზე დაუსწრებლობა გამოიწვევს დამხმარე პაკეტების დისკვალიფიკაციას. სავალდებულო ტრენინგები ჩატარდება ან უშუალოდ FAO-ს მიერ, ან FAO-ს მიერ დაქირავეული მომსახურების მომწოდებლის მიერ. სურსათის უვნებლობის ცოდნის სათანადო შეძენის უზრუნველსაყოფად, მონაწილეებს მოეთხოვებათ პოსტ ტესტი გავლა.

<u>შედეგი:</u> განმცხადეელმა წეარმატებით გაიარა სავალდებულო ტრენინგები და პოსტ ტესტი. განაცხადი გადასულია შემდეგ ეტაპზე.

VII ფაზა: (შერჩევითი) წინასწარ შერჩეული აღჭურვილობების არ არსებობის შემთვევაში, ბიუჯეტის განსაზღვრა და ზედნადების მიღება

ყველა სავალდებულო ტრენინგის გავლის შემდეგ, განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი გრანტი.

იმ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისთვის, რომლისთვისაც აღჭურვილობები წინასწარ არ ყოფილა FAO-ს მიერ დადგენილი და ის განისაზღვა ხარისხის აუდიტის დროს, საინვესტიციო საჭიროებების შეფასების საფუძველზე, განმცხადებელს მოეთხოვება წარადგინოს დეტალური ბიუჯეტი იმ აღჭურვილობებისათვის რომლის შეძენაც სურს. ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს ფასებს და მიმწოდებლებს. დეტალური ბიუჯეტი, FAO-ს მიერ, თან უნდა დაერთოს საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმას.

<u>შედეგი:</u> იმ მხარდაჭერის პაკეტებისთვის, სადაც აღჭურვილობა არ არის წინასწარ შერჩეული FAO-ს მიერ, განმცხადებელმა წარადგინა შემოთავაზებული ბიუჯეტი და შესაბამისი ზედნადები ატვირთულია საგრანტო პროგრამის მართვის პლატფორმაზე.

VIII ფაზა: (შერჩევითი) სავერიფიკაციო საველე ვიზიტი

საველე ვიზიტი შესაძლოა ჩატარდეს FAO-ს მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის დასადასტურებლად.

- თუკი, განაცხადსა და ვერიფიკაციის ვიზიტის შედეგებს შორის აღმოჩნდება მცირე შეუსაბამობები, განაცხადის შინაარსი შესაბამისად მოდიფიცირდება.
- თუკი, განაცხადებსა და შემოწმების საკონტროლო ვიზიტის შედეგებს შორის, გამოვლინდება ძირეული შეუსაბამობები, FAO-მ შესაძლოა განაცხადი შერჩევის კომიტეტს უარსაყოფად წარუდგინოს. „ძირეული შეუსაბამობები“ გულისხმობს მნიშვნელოვანი განსხვავებებს ან შეუსაბამობებს, რომლებიც ცვლის პროექტის ფუნდამენტურ ბუნებას ან განზრახ არის წარმოდგენილი, იმისათვის რომ გავლენა მოახდინოს მკითხველზე მიკერძოებული ან თაღლითური გზით.

მოწოდებული ინფორმაციის სისწორე და მართებულობა სრულად რჩება განმცხადებლის პასუხისმგებლობაში.

<u>შედეგი:</u> თანამონაწილეობრივი გრანტის განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია გადამოწმებული იქნა FAO-ს მიერ, სავერიფიკაციო ვიზიტის ხარჯზე.

IX ფაზა: შემოთავაზებული თანამონაწილეობრივი გრანტის ტექნიკური შეფასება

მოცემულ ეტაპზე, FAO ტექნიკურად გადახედავს და შეაფასებს შემოთავაზებული თანამონაწილეობრივი გრანტის განაცხადს. შეფასების პროცესი მოიცავს FAO-ს გრანტების ანალიტიკოსის მიერ პირველად გადახედვას, ხოლო შემდეგ გრანტების მენეჯერის (ტექნიკური შეფასების პროცესის თავმჯდომარე) მიერ დამოწმებას, ოთხი თვალის პრინციპის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი ამას ტექნიკური თვალსაზრისით საჭიროდ მიიჩნევს, გრანტების მენეჯერი, მან შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ტექნიკური მოსაზრება FAO-ს შიდა თუ გარე წევრების მიერ. მოცემული ორმაგი პროცედურა უზრუნველყოფს გამჭვირვალე და დამოუკიდებელ შეფასების პროცესს.

მოცემული ტექნიკური მიმოხილვა მიზნად ისახავს უზრუნველყოს განხილული განაცხადის მხარდაჭერის პაკეტთან და საგრანტო საოპერაციო სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან შესაბამისობა, ისევე როგორც პროექტის მდგრადობა ტექნიკური თვალსაზრისით. ეს შემოწმება შემოიფარგლება პროგრამასთან შესაბამისობით, სისრულით, ტექნიკური და პროგრამული ადეკვატურობითა და ბიუჯეტით.

ქულების შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება მხარდაჭერის პაკეტების მიხედვით. მოქმედი ქულების კრიტერიუმების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ საგრანტო საოპერაციო სახელმძღვანელოს დანართებში.

განმცხადებელმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 70 ქულა 100-დან. განაცხადები, რომელიც ვერ გადალახავენ 70 ქულიან ზღურბლს, აღარ იქნება შეფასებული და უარსაყოფად იქნება წარდგენილი შესარჩევი კომიტეტის წინაშე. განაცხადი, რომელიც გადალახავს 70 ქულას, დასამტკიცებლად წარდგენა შესარჩევი კომისიის წინაშე.
წარმატებული ტექნიკური შეფასება არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს FAO-ს ვალდებულებას დააფინანსოს განმცხადებლის მიერ წარდგენილი პროექტი.

<u>შედეგი:</u> თანამონაწილეობრივი გრანტის განაცხადი ტექნიკურად გადაიხედა და შეფასდა FAO-ს მიერ და მზად არის წარდგეს შესარჩევად.

X ფაზა: თანამონაწილეობრივი გრანტის შერჩევა და დაჯილდოვების გადაწყვეტილება

საგრანტო განაცხადების დაჯილდოვების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს შერჩევის კომიტეტი, რომელიც შედგება ENPARD პროგრამის მენეჯერის (თავმჯდომარე), FAOGE ოპერაციების სპეციალისტისა (მდივანი) და FAOGE სურსათის უვნებლობის ეროვნული ექსპერტისგან.

- განაცხადების შეფასების კომიტეტს შეუძლია დაამტკიცოს, უარყოს, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია ან დაამატოს პირობები განაცხადის დამტკიცებისათვის.
- შერჩევა იქნება წერილობით დოკუმენტირებული ოქმის სახით, ყოველი განაცხადის შერჩევის ან უარყოფის შესახებ, ნათელი დასაბუთებით.
- გაგზავნილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია არ დაუბრუნდება განმცხადებელს, თუმცა, არც სხვა უწყებებს არ გადაეცემა, განმცხადებლის ფორმალური დასტურის გარეშე.

შერჩევის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაჯილდოვების შესახებ დოკუმენტირებული იქნება ოქმის სახით, რომელსაც ხელს მოაწერს კომიტეტის სამივე წევრი. საგრანტო განაცხადების დეტალები, ისევე როგორც ხელმოწერილი ოქმები, გაზიარებული იქნება დონორთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის წარმომადგენელთან კონსულტაციებისათვის. ორი მხარეს მიეცემა ერთკვირიანი ვადა, რათა გააკეთონ კომენტარები და გააჟღერონ დამოკიდებულება შემოთავაზებული პროექტების შესახებ. წამოჭრილ კითხვებსა თუ დამოკიდებულებებს პროექტის განმახორციელებელი ერთეული დროულად განიხილავს.

დამატებითი კითხვების არ არსებობის შემთხვევაში, ხელმოწერილი ოქმები გაზიარებული იქნება ბიუჯეტის მფლობელთან საბოლო დამტკიცებისათვის. ბიუჯეტის მფლობელი პასუხისმგებელია მოცემული გრანტის საბოლოო დამტკიცებასა თუ უარყოფაზე. საგრანტო განაცხადების დამტკიცების შესახებ ბიუჯეტის მფლობელის გადაწყვეტილება საბოლოო და შეუქცევადია. მიღებული გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გასაჩივრებას. სურვილისამებრ, განმცხადებლებს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემათ წერილობითი დასაბუთების ასლი. თუმცა, FAO, ორგანიზაციის ეთიკური ვალდებულებების შესაბამისად, ისწრაფვის უზრუნველყოს საგრანტო პროცესის მართვის ყველაზე გამჭვირვალე მიდგომა. FAO-ს საქართველოს ოფისმა ჩამოაყალიბა საჩივრების განხილვის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს FAO-ს პროგრამის ბენეფიციარებთან გამჭვირვალე, ეფექტური და დროული მექანიზმით კომუნიკაცია, იმისათვის რომ მათ მიეცეთ თავიანთი უკუკავშირისა და დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება. დამატებითი დეტალები საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის ვებგვერდზე.

<u>შედეგი:</u> შემოთავაზებული პროექტები შეფასდა პროექტის შერჩევის კომიტეტის მიერ და შეხვედრის შედეგები დოკუმენტირებული იქნა, სამი წევრის მიერ ხელმოწერილი ოქმის სახით. შემდეგ ოქმი გაზიარებულ იქნა დონორთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კონსულტაციებისათვის. საკონსულტაციო პერიოდის გასვლის შემდეგ, ოქმი გაზიარებულ იქნა პროექტის ბიუჯეტის მფლობელთან საბოლოო დამტკიცებისა და ხელმოწერისათვის.

XI ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების შემუშავება და ხელმოწერა

1. <u>ინვესტიციის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება:</u>

- მომავალ ბენეფიციართან ერთად, FAO განიხილავს განაცხადში შემოთავაზებული ინვესტიციის ვადებს და განსაზღვრავს ინვესტიციის განხორციელების გეგმას, რომელიც მოიცავს:

ა) სამუშაოების და საქმიანობის განხორციელების სქემა, მათ შორის კონკრეტული ეტაპები, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ბენეფიციარის მიერ საჭიროების მიხედვით;

ბ) მხარდაჭერის მოდალობა (საგრანტო დახმარება, FAO-ს მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება ან ორივე), ეფექტურობის და ეფექტიანობის გათვალისწინებით;

გ) შესაბამისი საგრანტო განაცხადის დამტკიცებული ბიუჯეტი, მათ შორის შესასყიდი აღჭურვილობების დეტალური ჩამონათვალი, ინვესტიციების დაფინანსების დეტალები (თანამონაწილეობრივი გრანტი, განმცხადებლის და შესაბამისი მომწოდებლები);

დ) გრანტის ჩარიცხვის გრაფიკი, რომელშიც გადახდები განპირობებულია საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული ნაბიჯების მიღწევით. ჩარიცხვის გრაფიკი მორგებული იქნება თითოეულ ინვესტიციაზე, ინვესტიციის განხორციელებისათვის საჭირო საფეხურების შესაბამისად.

ბენეფიციარი სრულად არის პასუხისმგებელი დამტკიცებული ინვესტიციის სწორად განხორციელებაზე.

2. <u>საგრანტო ხელშეკრულება:</u>

სათანადოდ მომზადებული საგრანტო ხელშეკრულების, რომელიც მოიცავს ზოგად პირობებს, დამტკიცებულ ბიუჯეტს, შესასყიდი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს და ინვესტიციის განხორციელების გეგმას, მთავარი ხელმომწერები არიან FAO და პროგრამის ბენეფიციარი. მხოლოდ პირველადი განმცხადებელი შეიძლება იყოს ხელშეკრულების ხელმომწერი. ნებისმიერი განსხვავებული მდგომარეობა უნდა იყოს გამართლებული ფორს მაჟორული სიტუაციით და განხილული უნდა იყოს FAO-ს მიერ ხელმოწერამდე.

საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერით, განმცხადებელი იღებს ვალდებულებას შეინახოს და მოუაროს მხარდაჭერილ აღჭურვილობას (სათადარიგო ნაწილების ჩათვლით) ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გრანტიორმა 1 თვის განმავლობაში უნდა შეასრულოს საგრანტო ვალდებულებები, როგორც ეს ხელშეკრულებაში არის დეტალურად მოცემული. თუ ვალდებულებები არ შესრულდება გრანტის მიმღების მიერ ამ დროის განმავლობაში, FAO

იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულება, როგორც ეს გამოხატულია საგრანტო ხელშეკრულების დებულებებში.
განმცხადებელი, ასევე, იღებს ვალდებულებას დაიცვას ღია კარის პოლიტიკა და ხელი შეუწყოს FAO-ს მიერ მის დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების ჩატარებას. გრანტიორის ვალდებულებები, ასევე, მოიცავს მონაწილეობას FAO-ს მიერ განხორციელებულ ტექნიკური დახმარების აქტივობებში, მისი გეოგრაფიული რეგიონისა და საქმიანობის სფეროს შესაბამისად.
FAO საინვესტიციო მხარდაჭერას მართავს საგრანტო ოპერაციული სახელმძღვანელოს, საგრანტო ხელშეკრულებისა და FAO-ს ყველა სხვა მოქმედი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

<u>შედეგი:</u> საგრანტო ხელშეკრულება მომზადდა მომავალი გრანტის მიმღებთან თანამშრომლობით, ასევე, შედგა დეტალური ინვესტიციის განხორციელების გეგმა, დამტკიცებულ ბიუჯეტს, და შესაძენი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს. შედგენის შემდეგ, საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა გრანტიორისა და FAO-ს მიერ.

XII ფაზა: გრანტის გადახდა

შესაბამისი გრანტის გადახდა განხორციელდება უშუალოდ მიმწოდებლის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც მოხდება ბენეფიციარის მიერ საგრანტო თანაკონტრიბუციის გადახდა და ტექნიკის ეფექტური მიწოდება. FAO-ს უნდა მიეწოდოს დამხმარე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს აღჭურვილობის ეფექტური მიწოდებას.
აღჭურვილობის მიწოდების შემდეგ, FAO-მ შესაძლოა უზრუნველყოს საინვესტიციო შემოწმების ვიზიტი, რათა შეამოწმოს ბენეფიციარების მიერ საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობა და ეტაპობრივი მიზნების მიღწევა.
მას შემდეგ რაც აღჭურვილობების გადაცემა შემოწმებულია, ხოლო, საჭიროებისამებრ, საინვესტიციო შემოწმების ვიზიტი ჩატარებულია, FAO გადაუხდის მის წილს მიმწოდებელს, შეფერხების გარეშე.
FAO გადახდას ყოველთვის განახორციელებს მხოლოდ პირდაპირ მომწოდებლის ანგარიშზე, გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა.
FAO–ს რეგულაციების თანახმად, გადახდა აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში მოხდება გადახდის მომენტში არსებული გაეროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად[1].
მრავალჯერადი ტრანშის გადახდის შემთხვევაში, შემდგომი ტრანშების გადახდა დაექვემდებარება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ წინა ეტაპების ვალიდაციას

[1] United Nations Operational Rates of Exchange are published at https://treasury.un.org/operationalrates/OperationalRates.php#I

ინვესტიციის განხორციელების ვიზიტების დროს, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი შემდეგ ნაწილში.

<u>შედეგი:</u> გრანტის ბენეფიციარის წილის გადახდისა და აღჭურვილობის მიწოდების დადასტურების შემდეგ, და, საჭიროებისამებრ, ჩატარებული საინვესტიციო შემოწმების ვიზიტის საფუძველზე, FAO განახორციელებს პირველ გადახდას უშუალოდ მიმწოდებელის ანგარიშზე.

XIII ფაზა: (შერჩევითი) ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის შეფასების ვიზიტები

საგრანტო სახელმძღვანელოში აღწერილი ეტაპობრივი გადახდის შემთხვევაში, FAO განახორციელებს ინვესტიციის სავერიფიკაციო ვიზიტებს, რათა შეამოწმოს ბენეფიციარების საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობა და ეტაპობრივი მიზნების მიღწევა ყოველი გადახდის წინ. პირველი ვიზიტი უნდა განხორციელდეს პირველ გადახდასთან დაკავშირებული ტექნიკის მიწოდებისას.

მრავალჯერადი დამონტაჟების შემთხვევაში, FAO ჩაატარებს ერთ ვიზიტს ყოველი ეტაპობრივი მიზნის მიღწევის შემდეგ. ეტაპების მიღწევა უნდა იყოს წერილობით დამოწმებული პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ „საეტაპო დადასტურების ანგარიშში“ საგრანტო ხელშეკრულებაში დაგეგმილ თითოეულ გადახდამდე.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული ბიუჯეტის მფლობელს აცნობებს ხელშეკრულებით დაგეგმილ გრაფიკთან თუ პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაძლო გადახვევისა თუ მოსალოდნელი შეფერხების შესახებ. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერილს შემდეგ, გრანტიორის ნებისმიერი ცვლილების მოთხოვნა ოფიციალურად უნდა იყოს FAO-ს მიერ წერილობით დამტკიცებული, როგორც ეს გათვალისწინებულია საგრანტო ხელშეკრულების დებულებაში.

<u>შედეგი:</u> საგრანტო თანხის საფეხურებად/ტრანშებად მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში, ეტაპობრივი საინვესტიციო აქტივობების განხორციელება დამოწმებულია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ, საგრანტო თანხის FAO-ს წილის ყოველი მომდევნო გადარიცხვის წინ.

XIV ფაზა: მონიტორინგის აქტივობები

დადებითი ზემოქმედების შეფასების მიზნით, FAO-მ შესაძლოა ჩაატაროს შეფასების შემდგომ ვიზიტებს თითოეულ ბენეფიციართან.

ეს აქტივობები FAO-ს მიერ გამოყენებული იქნება როგორც შესაძლებლობა გაუწიოს დახმარება და მისცეს რჩევები პროგრამის ბენეფიციარებს, რათა გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა და უზრუნველყონ ეფექტური ბიზნეს ოპერაციების დანერგვა და, ასევე,

შეაგროვონ განახლებული საბაზისო მონაცემები. გარდა ამისა, გრანტიორებს შეატყობინებენ მიმდინარე თუ სამომავლო განვითარების პროგრამების აქტივობების შესახებ.

საინვესტიციო აქტივობებისა და მონიტორინგის ვიზიტების შემდგომი მონიტორინგის მიზნით, FAO შეაგროვებს და შეინახავს ინფორმაციას თითოეული ინვესტიციის სტატუსის შესახებ ინდივიდუალურად. ყველა ეს მონაცემი, FAO-ს განხორციელების შესახებ ზოგად ინფორმაციასთან, წინააღმდეგობებთან და აღმოჩენილ გადაწყვეტილებებთან, მიღწევებთან და გამოწვევებთან ერთად, შეჯამდება პროგრამის მიერ გამოყენებულ მონიტორინგის პლატფორმაზე - Zoho. ეს მონაცემები მოიცავს ინფორმაციას ბენეფიციარის ბიზნესის მდგომარეობის შესახებ გრანტის გაცემამდე და მის შემდეგ.

FAO პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა შეგროვებასა და თითოეული ბენეფიციარისთვის პროგრესის მონიტორინგზე. იმ შემთხვევაში თუკი ბენეფიციარი იდენტიფიცირდება "მაღალი რისკის" შემცველად, დასახული ამოცანების შეუსრულებლობის გამო, ან იმის გამო რომ გააჩნია ფინანსური პრობლემები, არასაკმარისი მართვისა და კონტროლის სისტემები, ან ვერ ჯდება გრანტის ვადებსა და პირობებში, FAO აცნობებს ბენეფიციარს მისაღები საჭირო ზომების შესახებ. მიღებული ზომები შესაძლოა მოიცავდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, მის დროებით შეჩერებას, ან შეწყვეტას სრულად ან ნაწილობრივ.

<u>შედეგი:</u> FAO-მ ჩაატარა მონიტორიგნის აქტივობები, პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და ბენეფიციარისთვის საჭიროებებისა თუ გამოწვევების გამოსავლენად.

შენიშვნა: მოცემული საგრანტო სახელმძღვანელო მომზადებულია როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. თარგმანში რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

დანართი 1: შეფასების კრიტერიუმები 1-ლი მხარდაჭერის პაკეტისთვის: „ENPARD-ის არსებული ბენეფიციარების მხარდაჭერა (სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები)“

N	კრიტერიუმი:	თითოეული კრიტერიუმის მაქს. ქულა:
1	განმცხადებელს აქვს შესაბამისი გამოცდილება თავის სფეროში	3
2	განმცხადებელი (ან წარმომადგენელი) არის ქალი	2
3	პროექტი მდებარეობს რთულ გეოგრაფიულ არეალში	2
4	განმცხადებელს დანერგილი აქვს HACCP-ის სტანდარტი, პროგრამაში მონაწილეობამდე	3
5	განმცხადებელი დარეგისტრირებულია როგორც სურსათისმწარმოებელი ბიზნეს ოპერატორი	4
6	წარმოებული პროდუქტის მინიმუმ 50% იყიდება ადგილობრივ ბაზარზე	3
7	განმცხადებლები ხელს უწყობენ გენდერულ ბალანს, ასევე შშმ პირების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეთნიკურ უმცირესობების ან ახალგაზრდების ინტეგრაციას	3
8	განმცხადებელს ჰყავს პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია სურსათის უსაფრთხოების დაცვაზე	3
9	პერსონალის პროფესიული გამოცდილება/ადეკვატური გუნდი	3
10	განმცხადებელს მიღებული ჰქონდა სურსათის უვნებლობის ზომები პროგრამაში მონაწილეობამდე	4
11	კარგად ახსნილი და ლოგიკური ბიზნეს გამოცდილების ანალიზი	3
12	ბაზრის და მისი მოთხოვნების გაანალიზება	3
13	პროდუქტის და წარმოების გამოწვევების გაგება	3
14	ძირითადი რისკების აღმოსაფხვრელად დანერგილია კარგი შემარბილებელი ღონისძიებები	3
15	სურსათის უვნებლობის კანონიერი მოთხოვნების გაცნობიერება	4
16	ბიზნესთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის რისკების კარგად გაანალიზება	4
17	საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის რისკების კარგად გაანალიზება	4
18	ინვესტიციის მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული	4
19	პროექტი გააუმჯობესებს კომპანიის მდგრადობას (მომგებიანობის გაზრდა, ცოდნა, ბაზარზე წვდომა...)	3
20	პროექტი იქონიებს სოციალურ ან გარემოსდაცვით გავლენას	3
21	ინვესტიციის მიზანი რეალისტურია	4
22	შემოთავაზებულ ინვესტიციას აქვს "მაღალი გავლენა"	5
23	პროექტს აქვს მნიშვნელოვანი არაპირდაპირი გავლენა	4
24	ინვესტიცია ბიზნესის წარმართვისთვის გადამწყვეტად მიიჩნევა	3
25	კომპანიას აქვს შესაძლებლობა აითვისოს ეს დამატებითი ინვესტიცია/ განვითარების სწორ ეტაპზეა	5
26	სტრატეგიული შესაბამისობა საგრანტო პროგრამის მიზნებთან	7
27	ინვესტიციის მოსალოდნელი ეფექტი კომპანიაში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებაზე	4
28	ინვესტიციის მოსალოდნელი ეფექტი ღირებულებათა ჯაჭვში, სურსათის უვნებლობის კუთხით	4
	ჯამური ქულა	100

დანართი 2: 1-ლი მხარდაჭერის პაკეტის განმარტებითი დოკუმენტი: „ENPARD-ის არსებული ბენეფიციარების მხარდაჭერა (სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები)“

<u>განმარტებითი დოკუმენტი მხარდაჭერის პაკეტისათვის:</u>

“მხარდაჭერის პაკეტები საქართველოში ENPARD-ის ბენეფიციარებისათვის (სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები)”

1/ დადგენილი რისკი/შესაძლებლობა და შესაბამისი მონაცემები:

სურსათის უვნებლობა ძალიან ფართო თემაა და სოფლის მეურნეობაში ჩართულ ყველა აქტორს ეხება. ინტერვიუებმა და სამაგიდო კვლევამ აჩვენა, რომ მონაწილე მხარეებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა, კარგად არ ესმით სურსათის უვნებლობის კონცეფცია და მოქმედი ქართული კანონმდებლობა. თუმცა, დარგობრივი სპეციფიკა და ინდივიდუალური მოთხოვნები ართულებს ერთი სქემის შემუშავებას, რომელიც ყველა საჭიროებას დააკმაყოფილებდა და ფართომასშტაბიან ზემოქმედებას მოახდენდა, რომელიც ამავდროულად, უზრუნველყოფდა სამართლიან მოპყრობასა და გამჭვირვალეობას მთელი პროცესის მანძილზე.

ENPARD III-ის პროექტის საბოლოო გარე შეფასების რეკომენდაციებში, ერთ-ერთი იყო არსებულ ბენეფიციარებთან თანამშრომლობის გაგრძელება. გამომდინარე იქიდან, რომ ENPARD-ის ბენეფიციარები უკვე იცნობენ პროგრამის მიდგომასა და ამოცანებს, ისინი წარმოადგენენ უფრო მარტივ და ლიმიტირებულ მიღწევად პოპულაციას. დახმარების უწყვეტობა, ზოგადად, კარგ პრაქტიკად ითვლება, რადგან იგი უზრუნველყოფს თავდაპირველად გაწეული ინვესტიციის მდგრადობას.

საწყის ეტაპზე, ENPARD-ის ყოფილ ბენეფიციარებთან განხორციელდა სატელეფონო ზარები, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მთლიანი პოპულაციის დაახლოებით 79%[2]-ი კვლავ ფლობს იურიდიულ სტატუსს და აქტიურია სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, გამოკითხულ ბენეფიციართა 95%-ი კვლავ იყენებს დახმარების ფარგლებში მიღებულ ტექნიკას. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთმა მათგანმა გრანტი დაახლოებით 8 წლის წინ მიიღო, მოცემული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ის ადასტურებს პროექტის მდგრადობას.

[2] ENPARD-ის 610 ბენეფიციარიდან, რომლებიც ფლობენ იურიდიულ სტატუსს (ENPARD I, II და III-დან), 267 დაფინანსდა არა FAO-ს მეირ 2020-2022 წლებში ENPARD III-ის ფარგლებში, არამედ უფრო ადრე (ENPARD I და II). მათგან 181-თან შესაძლებელი აღმოჩნდა ტელეფონით დაკავშირება, 143 მათგანი, ანუ 79%, კვლავ აქტიურია სოფლის მეურნეობაში.

გარდა ამისა, გრანტების უმეტესობა გაიცა ENPARD-ის სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ეკონომიკური მიზნებით და ბევრი ბენეფიციარი გაეცნო კომერციულ სოფლის მეურნეობას და მის მოთხოვნებს; სურსათის უვნებლობის მნიშვნელობა კომერციული ფერმერობის სფეროში მზარდია. შესაბამისად, ბენეფიციარები წარმოადგენს იმ ჯგუფს, რომელიც უფრო მეტად დაინტერესდება სურსათის უვნებლობის მიმართულებით ინვესტირებით.

2/ სამიზნე ბენეფიციარები და ადგილმდებარეობა

FAO-მ, ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილ მუნიციპალიტეტებში ინფორმაცია შეაგროვა 711 არსებულ ბენეფიციარზე, ქვეყნის მასშტაბით. კვლევამ დაადასტურა, რომ ჯამში 610 ბენეფიციარს დღესაც აქვს აქტიური იურიდიული სტატუსი. FAO-მ დაადგინა 511 გრანტიორის ბიზნეს საქმიანობის ტიპი. მათგან - 365 პირველადი მწარმოებელია, ხოლო - 146 სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი, რომლეთაგანაც 121-მა დაადასტურა, რომ ისინი დღესაც ოპერირებენ. ეს უკანასკნელი ჯგუფი წარმოადგენს მოცემული მხარდჭერის პაკეტის სამიზნე ბენეფიციარებს. აღნიშნული აგრო-მწარმოებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან, რაც ადასტურებს ინდივიდუალური შეფასებისა და მიდგომის დანერგვის აუცილებლობას.

3/ შემოთავაზებული ტექნიკური გადაჭრის გზები და მეთოდოლოგია

ახალი კანონმდებლობა სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებს 2023 წლის ივნისისათვის ავალდებულებს HACCP-ის დანერგვას. სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორები, რომლებიც HACCP-ის მოთხოვნების შესაბამისნი არ არიან, FAO შესთავაზებს დახმარებას HACCP-ს სერტიფიცირების პროცესში, მომსახურების მომწოდებელთან თანამშრომლობის გზით. ამ პროცესის ღირებულებას დაფარავს FAO.

ზემოაღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, თუკი სერვისის მომწოდებელი სურსათისმწარმოებელი ბიზნესოპერატორებისათვის გამოავლენს სტანდარტის შესაბამისობისათვის საჭირო ზოგიერთი ინვესტიციის საჭიროებას, მათ ექნებათ შესაძლებლობა წარადგინონ საგრანტო განაცხადი.

მეორეს მხრივ, თუ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორს უკვე დანერგილი აქვს HACCP-ი, საჭიროებათა ანალიზი ჩატარდება მომსახურების მომწოდებლის მიერ. მათ, ასევე, შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ სურსათის უვნებლობის ზოგად ტრენინგს და მოგვიანებით განაცხადი წარადგინონ სასურველ გრანტზე, რათა შეიძინონ საჭიროებების შეფასებისას გამოვლენილი სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ტექნიკა.

ორივე შემთხვევაში, თანამონაწილეობრივი გრანტი იქნება 70%-ი სურსათის უვნებლობის ტექნიკისათვის და 40%-ი დამატებითი აქსესუარებისათვის; გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 50 000 აშშ დოლარი ერთ ბენეფიციარზე. გრანტის დიდი ნაწილი უნდა იყოს დაკავშირებული სურსათის უვნებლობის ტექნიკასთან, ხოლო დარჩენილი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს დამატებით აქსესუარებს.

სურსათის უვნებლობის აღჭურვილობა განისაზღვრება ინსტრუმენტების მთელი ნაკრებით, მანქანა-დანადგარებით და აღჭურვილობებით, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი და გამოიყენება სურსათით დაბინძურების შემთხვევების პრევენციისა თუ მინიმუმამდე დაყვანისათვის, ასევე, დაავადებებისა და სხვა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისთვის სურსათის გადამუშავების, წარმოების ან დამზადების პროცესებში. დამატებითი აქსესუარები არის ძირითადი აქტივები, რომლებიც საჭიროა სურსათის უვნებლობის აღჭურვილობების სათანადო და ეფექტიანი მოხმარებისათვის. FAO-ს სურსათის უვნებლობის ექსპერტი უზრუნველყოფს თითოეული პროექტისათვის ინდივიდუალურ კატეგორიზაციას. შემოთავაზებული საბოლოო ბიუჯეტი ტექნიკური კუთხით შემოწმდება FAO-ს მიერ.

მხარდაჭერის პაკეტების განხორციელების შემდეგ, სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო განახორციელებს ინსპექტირებას და შეაფასებს HACCP-ს სტანდარტებთან შესაბამისობას.

4/ სასურველი შედეგი

ამ აქტივობის ბოლოს, ყველა მონაწილე სურსათისმწარმოებელ ბიზნესოპერატორს დანერგილი ექნება HACCP-ის სტანდარტი და მისი წარმოება იქნება საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი.

5/ მონიტორინგი და შეფასების მეთოდოლოგია

თითოეულ ბენეფიციართან იმუშავებს ერთი ღირებულების ჯაჭვის ანალიტიკოსი, რომელიც მხარდაჭერის პაკეტების განხორციელებას დააკვირდება. ეს პირდაპირი მონიტორინგი მოიცავს კომუნიკაციას სავალდებულო სასწავლო მოთხოვნების შესახებ, ასევე საგრანტო აპლიკაციის მიმოხილვას და სულ მცირე, ერთ მონიტორინგის ვიზიტს წელიწადში. საბაზისო მონაცემები შეგროვდება აქტივობის საწყის ეტაპზე და მონაცემები განახლდება პროექტის დასრულებისას. მონიტორინგი ასევე გულისხმობს HACCP-ის ჩანაწერების გადახედვას. შესაძლებლობის შემთხვევაში, საბაზისო მონაცემები მოიცავს გაყიდული პროდუქტების ლაბორატორიულ შემოწმებას.

6/ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი და პასუხისმგებელი პირი

აქტივობა დაიწყება მაქსიმალურად მოკლე დროში, მომსახურების მომწოდებლების შერჩევის შესახებ წინადადების წარდგენით. მოთხოვნები დაეყრდნობა იმ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისათვის განსახორციელებელი ხარისხის აუდიტის შედეგებს, რომლებიც ისურვებენ მხარდაჭერის პაკეტში მონაწილეობას. შეთავაზება ითვალისწინებს ინდივიდუალური HACCP-ის გეგმის შედგენას და, ასევე, თითოეული სურსათის ბიზნეს ოპერატორისათვის საბოლოო ანგარიშის წარდგენას.

შუალედურ ეტაპზე, FAO ინდივიდუალურად დაეკონტაქტება სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ENPARD-ის ყოფილი ბენეფიციარები არიან და აცნობებს მათ მხარდაჭერის პაკეტის შესაძლებლობის შესახებ. იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაინტერესდებიან მონაწილეობით, შეეძლებათ განაცხადის მომზადება და FAO-სთვის ყველა საჭირო დოკუმენტის მიწოდება.

მომსახურების მომწოდებელთა შერჩევის შემდეგ, დაიწყება ხარისხის აუდიტი სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან. საბოლოო ანგარიშებში მოცემული საინვესტიციო რეკომენდაციები თანამონაწილეობრივი საგრანტო განაცხადის საფუძველს წარმოადგენს. განაცხადები შემუშავდება ღირებულებათა ჯაჭვის ანალიტიკოსების დახმარებით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

მოცემული მხარდაჭერის პაკეტის ქვეშ მოსალოდნელია მინიმუმ 50 სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორის დახმარება. მოცემული მხარდაჭერის პაკეტის მოსალოდნელი თანამონაწილეობრივი სრული საგრანტო ბიუჯეტი იქნება 1,5 მილიონი აშშ დოლარი.

დანართი 3: შეფასების კრიტერიუმები მე-3 მხარდაჭერის პაკეტისთვის: "საქართველოს მტკნარი წყლის თევზის ფერმერების მოშენებისა და სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გასაუმჯობესებელი მხარდაჭერის პაკეტი"

N	კრიტერიუმი:	თითოეული კრიტერიუმის მაქს. ქულა:
1	განმცხადებელს აქვს შესაბამისი გამოცდილება თავის სფეროში	5
2	განმცხადებელი (ან წარმომადგენელი) არის ქალი	2
3	პროექტი მდებარეობს რთულ გეოგრაფიულ არეალში	3
4	თევზის სიმკვრივე წარმოების შესაბამისია	5
5	განმცხადებელს აქვს წვდომა წყლის საიმედო წყაროზე	5
6	განმცხადებელს აქვს წვდომა საიმედო ელექტროენერგიის წყაროზე	5
7	წარმოებული პროდუქტის მინიმუმ 50% იყიდება ადგილობრივ ბაზარზე	5
8	განმცხადებელი დარეგისტრირებულია როგორც სურსათისმწარმოებელი ბიზნეს ოპერატორი	7
9	განმცხადებელი აკონტროლებს წყლის მდგომარეობას	7
10	თევზის ქვირითის წარმოება შესაბამისი პროცედურების დაცვით მიმდინარეობს	3
11	განმცხადებელი ახორციელებს თევზის ჯანმრთელობის მონიტორინგის შესაბამისი პრაქტიკა	8
12	თანდართული დოკუმენტები/ფოტოები შეესაბამება განაცხადის ფორმაში მოცემულ ინფორმაციას	5
13	ინვესტიცია ბიზნესის წარმართვისთვის გადამწყვეტად მიიჩნევა	8
14	კომპანიას აქვს შესაძლებლობა აითვისოს ეს დამატებითი ინვესტიცია/ განვითარების სწორ ეტაპზეა	8
15	სტრატეგიული შესაბამისობა საგრანტო პროგრამის მიზნებთან	8
16	ინვესტიციის მოსალოდნელი ეფექტი კომპანიაში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებაზე	8
17	ინვესტიციის მოსალოდნელი ეფექტი ღირებულებათა ჯაჭვში, სურსათის უვნებლობის კუთხით	8
	ჯამური ქულა	100

დანართი 4: მე-3 მხარდაჭერის პაკეტის განმარტებითი დოკუმენტი: "საქართველოს მტკნარი წყლის თევზის ფერმერების მოშენებისა და სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გასაუმჯობესებელი მხარდაჭერის პაკეტი"

<u>განმარტებითი დოკუმენტი დამატებითი მიზნობრივი აქტივობისთვის:</u>

"საქართველოს მტკანი წლის თევზის ფერმერების მოშენებისა და სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გასაუმჯობესებელი მხარდაჭერის პაკეტი"

1/ დადგენილი რისკები და დამხმარე მონაცემები:

მტკნარი წყლის აკვაკულტურა ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიული სექტორი, იმ ხედვით, რომ ის მომდევნო წლებში კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკაში. მოცემულ დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობის მიერ აკვაკულტურაზე კანონის მიღების მოახლოება, რომელმაც მოცემული სექტორი პრიორიტეტად გამოაცხადა.

მიუხედავად მაღალი ხარისხის წყლისა და ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა, აკვაკულტურა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული, მთლიანი წარმოება დაახლოებით 5,000 ტონას აღწევს. მცირე საოჯახო მეურნეობებში გავრცელებულია salmonidae (ძირითადად შიდა ქართლსა და აჭარაში) და cyprinidae (ძირითადად კახეთში), რომელთა პროდუქტიულობაც დაბალია.

ინდუსტრია სხვა გამოწვევებსაც აწყდება, მათ შორის ცუდად განვითარებულ ღირებულებათა ჯაჭვს და არახელსაყრელ გარემოს. ასევე, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის აკრძალული ფარმაცევტული ნივთიერებების (კერძოდ მწვანე მალაქიტის) გამოყენებას ან პრევენციის ცუდ პრაქტიკასა და მკურნალობას. მოცემული ბოლო პუნქტი საფრთხეს უქმნის მომხმარებლებს, გამოყენებულ საკვებში ნარჩენების შესაძლო მოხვედრით.

ინდუსტრიას აქვს შემდგომი ზრდისა და განვითარების პოტენციალი, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარებას, რათა ხელი შეუწყოს მდგრადი და მომგებიანი აკვაკულტურის პრაქტიკას და უზრუნველყოს მიწოდებული სურსათის უსაფრთხოება. ზოგიერთი ინიციატივა უკვე ხორციელდება, მათ შორის აკვაკულტურის კანონი და სტრატეგია. ასევე, იდგმევა ნაბიჯები თევზების ცხოველთა

იდენტიფიკაციის მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში სამომავლო ინტეგრაციის მიმართულებით და იმართება დისკუსიები თევზის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ავტორიზებული საექსპორტო პროდუქტების ჩამონათვალში შესაძლო სამომავლო ინტეგრაციის შესახებ.

მოცემული მხარდაჭერის პაკეტის მიზანია პირველადი მწარმოებლების დახმარება, რათა გააუმჯობესონ მათი მეურნეობების მდგომარეობა სურსათის უვნებლობის მხრივ და შეამცირონ მომხმარებლებისთვის პოტენციური რისკები.

2/ სამიზნე ბენეფიციარები და ადგილმდებარეობა

ამ საქმიანობის სამიზნე ბენეფიციარები არიან პირველადი მწარმოებლები, რომლებიც ჩართულნი არიან მტკნარი წყლის თევზის წარმოებაში. პოტენციური ბენეფიციარების ჩამონათვალის მიწოდებას უზრუნველყოფს სურსათის ეროვნულ სააგენტო. მოცემული პირველადი მწარმოებლებს ვხვდებით მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროგრამა, ასევე, შესაძლოა გახდეს სტიმული არარეგისტრირებული პირველადი მწარმობლებისათვის, რომ დარეგისტრირდნენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში, რათა მიიღონ საჭირო ტექნიკური და ფინანსური დახმარება.

3/ შემოთავაზებული ტექნიკური გადაჭრის გზები და მეთოდოლოგია

პირველადი ქმედების სახით, FAO დაუკავშირდება ყველა რეგისტრირებულ თევზის მწარმოებელ ფერმერს, რათა მათ აცნობონ მხარდაჭერის შესაძლებლობის შესახებ. მოცემულ პირველად მწარმოებლებს მიეცემათ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ინტერესი ამ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად. დაინტერესების დადასტურების შემდეგ, FAO დაინტერესებულ მონაწილეებს შესთავზებს მონაწილეობა მიიღონ სურსათის უვნებლობის ტრენინგებში, რომელთაც უზრუნველყოფს თავად FAO. ტრენინგის წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ წარადგინონ საგრანტო განაცხადი წინასწარ შერჩეულ აღჭურვილობაზე, რომელიც ეხება თევზის მეურნეობაში სურსათის უვნებლობას. დასაშვები აღჭურვილობის ჩამონათვალი მოიცავს: წყლის ხარისხის მონიტორინგის მოწყობილობას, წყლის ფილტრებს, მაღალი წყევის სარეცხ აპარატებს და აერაციის სისტემებს. მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა, წინასწარგანსაზღვრული სიიდან, მოითხოვონ ერთი ან მეტი აღჭურვილობა. რის შემდეგაც, FAO შექმნის ფორმას მონიტორინგის პლატფორმა ZOHO-ზე, ყველა დასაშვები და ტექნიკურად გამართული განაცხადისათვის. ადგილზე შემოწმების ვიზიტები შესაძლოა ორგანიზებული იყოს FAO-ს მიერ. წარმატებული განმცხადებლებს შემდგომ შესაძლებლობა ექნებათ გააფორმონ საგრანტო ხელშეკრულება FAO-სთან.
FAO დაფარავს მთლიანი ღირებულების 70%-ს, დანარჩენს დაფარავს ბენეფიციარი. გრანტის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50,000 აშშ დოლარს.

4/ სასურველი შედეგი

ამ აქტივობის დასასრულს, ყველა ბენეფიციარმა უნდა გაიაროს ტრენინგი და აღიჭურვოს სურსათის უვნებლობის ძირითადი აღჭურვილობით თევზის მდგრადი მეურნეობისთვის.

5/ მდგრადობა

მოცემული მხარდაჭერის პაკეტის ფარგლებში, FAO ხელს შეუწყობს კერძო საკუთრებაში არსებული ბიზნესების სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაბამისად, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები არ არის მოსალოდნელი.

6/ მონიტორინგი და შეფასების მეთოდოლოგია

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიტიკოსი ზედამხედველობას გაუწევს დამხმარე აქტივობების დამაკმაყოფილებელ შესრულებას. საბაზისო მონაცემები შეგროვდება აქტივობის საწყის ეტაპზე და მონაცემები განახლდება პროექტის დასრულებისას.

7/ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი და პასუხისმგებელი პირი

აქტივობა დაიწყება მაქსიმალურად მოკლე დროში, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეხვედრით, რათა მივიღოთ აკვაკულტურის რეგისტრირებული პირველადი მწარმოებლების განახლებული ჩამონათვალი. პროექტის გუნდი, ასევე, მოახდენს აღჭურვილობის შერჩევას ადგილობრივი მომწოდებლებისგან.

მოსალოდნელია, რომ ეს აქტივობა მოიცავს სურსათის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირებულ მინიმუმ 150 პირველად მწარმოებელს, მოსალოდნელი საგრანტო ბიუჯეტით 450,000 აშშ დოლარი. შემოთავაზებული ბიუჯეტი მხოლოდ საორიენტაციოა და მისი კორექტირება შესაძლებელია განხორციელების დროს.

<u>განმარტებითი დოკუმენტი მხარდაჭერის პაკეტისთვის:</u>

„მხარდაჭერის პაკეტი რძისა და ყველის მცირე მწარმოებელი ქალებისთვის"

1/ გამოვლენილი რისკები და თანმხლები მონაცემები:

როგორც ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რძის პროდუქტები საგულისხმო როლს თამაშობს ადგილობრივ ეკონომიკაში და ფართოდ მოიხმარება როგორც მოსახლეობის, ისე ვიზიტორების მიერ. ამავე დროს, რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვი მოიაზრება იმ სექტორებს შორის, რომელიც დაკავშირებულია სურსათის უვნებლობის ყველაზე მაღალ რისკთან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სურსათით გამოწვეული დაავადებების დაახლოებით 10% ასოცირდება რძის პროდუქტების მოხმარებასთან.

საქართველოს კონტექსტში ეს რისკი განსაკუთრებით შესამჩნევია მცირე მწარმოებლებს შორის. შეზღუდული რესურსები და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს დაბრკოლებებს წარმოების პროცესში სურსათის უვნებლობის ზომების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად. მცირე მწარმოებელები ხშირად აწყდებიან გამოწვევებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვაში ისეთი ფაქტორების გამო, როგორებიცაა არაადეკვატური აღჭურვილობა, შეზღუდული ხელმისაწვდომობა ტრენინგზე და ტექნიკურ მხარდაჭერაზე და ასევე, არასაკმარისი ცოდნა საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ამ შეზღუდვებმა შესაძლოა გაზარდოს დაბინძურების რისკი და ზიანი მიაყენოს რძისა და ყველის პროდუქტების უსაფრთხოებასა და ხარისხს.

ამ საკითხების გადასაჭრელად აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მცირე მწარმოებლებში სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე. ეს არა მხოლოდ მომხმარებლების ჯანმრთელობას დაიცავს, არამედ გააძლიერებს რძის სექტორის კონკურენტუნარიანობასა და რეპუტაციას საქართველოში. აღნიშნული მხარდაჭერის პაკეტი მოიაზრებს ტექნიკურ ტრენინგებს უსაფრთხო წარმოებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, და ამავე დროს მწარმოებლებს სთავაზობს, განაცხადი გააკეთონ წინასწარ შერჩეული სურსათის უვნებლობის აღჭურვილობის შესაძენად გრანტის მეშვეობით. აქტივობა მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვასა და გაუმჯობესებას, როგორც რძის ასევე ყველის მცირე მწარმოებლებისთვის.

პროექტის განხორციელება დაიწყება წალკის, ადიგენის, გორის, სამტრედიის მუნიციპალიტეტებში და სამეგრელოს რეგიონში. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში რძის მწარმოებელების მაღალი კონცენტრაციაა და FAO-მ უკვე გადაამზადა ქალი ფერმერების მნიშვნელოვანი რაოდენობა რძისა და ყველის წარმოების უსაფრთხო პრაქტიკაში. პროექტის განხორციელებისას მხარდაჭერის პაკეტი შესაძლოა სხვა მუნიციპალიტეტებზეც გავრცელდეს.

დასასრულს, FAO-ს მიერ ENPARD III პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა რძის პროდუქტების ღირებულების ჯაჭვის გენდერული სენსიტიურობის სწრაფმა შეფასებამ დაადასტურა ქალების მნიშვნელოვანი ჩართულობა ღირებულების ჯაჭვის რძის და ყველის წარმოებაში.

2/ სამიზნე ბენეფიციარები და ადგილმდებარეობა

აღნიშნული აქტiვობის პირველი ფაზის ფარგლებში სამიზნე ბენეფიციარებს რძისა და ყველის მცირე ქალი მწარმოებელიები წარმოადგენენ, **წალკის, ადიგენის, გორისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში და სამეგრელოს რეგიონში**. მხარდაჭერის პაკეტის ქვეშ, მცირე ფერმერად განიხილება მწარმოებელი, მეწარმე, რომელსაც ჰყავს, **მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 20 მეწველი ძროხა (ფური).**

3/ შემოთავაზებული ტექნიკური მიდგომა და მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ განმცხადებელმა შეძლოს მხარდაჭერის პაკეტში მონაწილეობის მიღება აუცილებელია, ფლობდეს ქართული კანონმდებლობის შესაბამის იურიდიულ სტატუსს (არაორგანიზებული მწარმოებელი, ინდ. მწარმოებელი, ან სხვა) და მისი საქონელი დარეგისტრირებული უნდა იყოს NAITS-ის პლატფორმაზე. ამასთანავე, საჭიროა ყველა რძის მწარმოებელმა წარმატებით გაიაროს FAO-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგები სურსათის უვნებლობისა და რძის საუკეთესო პრაქტიკის თემებზე.
FAO რეგულარულად ახდენს ტრენინგების ორგანიზებას სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით. ყველა დატრენინგებული მონაწილე აღირიცხება FAO-ს მონიტორინგის პროგრამაში.

მხარდაჭერის პაკეტის საგრანტო კომპონენტი ქალ მწარმოებელიებს ორ სხვადასხვა შესაძლებლობას სთავაზობს:

- **რძის მცირე მეწარმეებისთვის:** მცირე მეწარმეები, რომლებიც ფლობენ მსხვილფეხა პირუტყვისთვის შესაბამის სადგომს (ბოსელი) შეძლებენ განაცხადის შემოტანას 70%-იან თანამონაწილეობრივ გრანტზე, შემდეგი ტექნიკის შესაძენად: **პორტატული საწველი დანადგარი, რძის ბიდონი.**

- **მცირე ზომის ყველის მწარმოებლებს** მიეცემათ შესაძლებლობა განაცხადი გააკეთონ 70%-იან თანამონაწილეობრივ გრანტზე ქვემოთ მოცემული აღჭურვილობის სიიდან ერთი ან რამდენიმე დანადგარის შესაძენად:
    - პორტატული საწველი მანქანა;
    - რძის ბიდონი;

განმცხადებლები, რომლებიც ორივე სახის წარმოებით არიან დაკავებულები განაცხადის გაკეთებას ორივე კომპონენტში შეძლებენ.

აღჭურვილობის შეძენა განხორციელდება FAO-ს მიერ, წინასწარ შერჩეული ადგილობრივი მომწოდებლებისგან. გრანტის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 50,000 აშშ დოლარს.

სამუშაო პროცესი და მეთოდოლოგია:

- 1/ კანდიდატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ FAO-ს შერჩეულ ტრენინგებში;
- 2/ ტრენინგის გავლის შემდეგ, კანდიდატები დარეგისტრირდებიან FAO-ს საგრანტო პლატფორმაზე. პლატფორმის ლინკი გაეგზავნება ტრენინგის ყველა მონაწილეს;
- 3/ კანდიდატები მოწვეულნი იქნებიან განაცხადის ფორმის შესავსებად და სააპლიკაციო ფორმასთან ერთად წარმოადგენენ დამხმარე დოკუმენტებს, მათ შორის ძროხის სადგომის და სხვა დამხამრე სათავსოების სურათებს;
- 4/ განაცხადის მიღების შემდეგ, FAO განახორციელებს პირველად შეფასებას;
- 5/ რძის პროდუქტების მცირე მწარმოებლებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან როგორც FBO, FAO-მ შესაძლოა მოაწყოს საველე ვიზიტი შენობების მდგომარეობის შესაფასებლად;
- 6/ FAO შეასრულებს განაცადის ტექნიკურ შეფასებას, და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.
- 7/ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, FAO და წარმატებული კანდიდატები ხელს მოაწერენ საგრანტო ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალს;
- 8/ ბენეფიციარი პასუხისმგებელი იქნება დაფაროს თანამონაწილეობრივ კონტრიბუციას პირდაპირ მომწოდებელთან. მას შემდეგ რაც აღჭურვილობა გადაეცემა ბენეფიციარს, FAO აანაზღაურებს შესაბამისი გრანტის დარჩენილ ნაწილს მომწოდებლებთან. გარდა ამისა, ბენეფიციარს გადაეცემა ბროშურა, რომელშიც მოცემულია საუკეთესო პრაქტიკა უსაფრთხო რძის წარმოების უზრუნველსაყოფად.
- 9/ FAO-მ შესაძლოა განახორციელოს რეგულარული მონიტორინგის აქტივობები ზოგიერთ ან ყველა ბენეფიციარზე, ბენეფიციარების საბოლოო რაოდენობის მიხედვით.

4/ სასურველი შედეგი

აღნიშნული აქტივობის დასასრულს, ყველა ბენეფიციარმა უნდა გაიაროს ტრენინგი და მიიღოს აუცილებელი აღჭურვილობა რძის ან ყველის წარმოების პროცესების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

5/ მდგრადობა

მხარდაჭერის პაკეტის ფარგლებში, FAO დაეხმარებ რძისა და ყველის არსებულ მწარმოებელიებს. შესაბამისად, მდგრადობის რისკები არ არის გათვალისწინებული.

6/ მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიტიკოსი ზედამხედველობას გაუწევს დამხმარე აქტივობების დამაკმაყოფილებელ შესრულებას და პერიოდულად შეაგროვებს მონიტორინგის მონაცემებს.

7/ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი და პასუხისმგებელი პირი

პროექტის გუნდი ახორციელებს აღჭურვილობის შერჩევას ადგილობრივი მომწოდებლებისგან. აღჭურვილობის მომწოდებლების შერჩევის შემდეგ, FAO შექმნის სპეციალურ საგრანტო ციკლს გრანტის მართვის პლატფორმაზე და დაუკავშირდება უკვე დატრენინგებულ მწარმოებლებს, რათა აცნობოს მათ შესაბამისი საგრანტო შესაძლებლობის შესახებ.

აღნიშნული აქტივობა დააფინანსებს რძის მწარმოებლებისთვის 500-მდე აღჭურვილობისა და 25 მცირე ზომის ყველის წარმოების მოწყობილობის კომპლექტის შეძენას. მხარდაჭერის პაკეტისთვის გრანტის სავარაუდო საშუალო ოდენობა შეადგენს 2000 აშშ დოლარს. შემოთავაზებული ბიუჯეტი საორიენტაციოა და კორექტირება შესაძლებელია განხორციელების დროს.